ოქმი:**ო37. 37263025**

თარიღი:**29/10/2026**

ოქმი N 31

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2026 წელი, 27 ოქტომბერი

ქ. ოზურგეთი

12:00 -13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით კიკვაძე**-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. აეროშიძე, ბ. თოიძე, დ. ხურციძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ე. გორდელაძე, ნ. გოლიაძე, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წერიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 ივლისის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

6. წევრების მიერ ამომრჩევლებისათვის ყოველწლიური ანგარიშის ჩაბარების თაობაზე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის პრევენციით განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

.

გადაწყვიტეს:

1.მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2,3,4,5,7,8 საკითხები განხილვისა და დამტკიცების მიზნით შეტანილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. N6 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში მოსმენისა და ცნობად მიღების მიზნით.

3. N7 საკითხი განხილვისა და საკრებულოს სხდომაზე დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ მუდმივმოქმედ კომისიას(დ. ჭაკნელიძე).

დავით კიკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი